n 98/1759 PP 2195

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრი 2009 წლიდან არსებობს. ის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ნაწილია და საქართველოში პირველი, ვინც თანამედროვე საუნივერსიტეტო სამუსიკო პროგრამებს ახორციელებს. ცენტრის მიერ შეთავაზებული ძირითადი (Major) და მეორე (Minor) საბაკალავრო პროგრამები მუსიკის ფართო სპექტრს მოიცავს. ცენტრის პროფესორები საკუთარი დარგის წამყვან სპეციალისტთა შორის არიან.

პროფესორი **ნინო მამრაძე** ილიაუნის კლასიკური და ბაროკოს მუსიკის მიმართულების ხელმძღვანელია.

ნინომ 1977 წელს დაამთავრა პეტრე ჩაიკოვსკის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორია, ხოლო 1981 წელს - ამავე კონსერვატორიის ასპირანტურა. ის სწავლობდა თავისი დროის ისეთ ბრწყინვალე პედაგოგებთან, როგორიც არიან საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები, პროფესორი იაკობ ზაკი და პროფესორი ლევ ვლასენკო. ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ნინო მამრაძე მუშაობდა სოლისტად საქართველოს ფილარმონიაში, მოწვეულ ექსპერტად კაიროს ხელოვნების აკადემიაში და პედაგოგად თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. 2005-2011 წლებში ის იყო ზაქარია ფალიაშვილის სახელობის №1 ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის („ნიჭიერთა ათწლედის") დირექტორი.

ბოლო ათი წლის მანძილზე ნინო მამრაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა მუსიკალური განათლების რეფორმირებაში. ნინოს დიდი წვლილი მიუძღვის ილიაუნის მუსიკის ცენტრის დაარსებაში, სადაც ის მისი არსებობის პირველი დღეებიდანვე მუშაობს.

ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის
მუსიკის ცენტრი

სერგეი პროკოფიევის საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი

მიძღვნილი გამოჩენილი პროფესორის
და პიანისტის, **იაკოვ ზაკის**
დაბადებიდან 100 წლისთავისადმი

სოლისტი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბაკალავრიატის პირველი კურსის სტუდენტი
ლიზი მამრაძე

ხელმძღვანელი – **ნინო მამრაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიზი მამრაძემ 2003 წელს ჩააბარა თბილისის ზ. ფალიშვილის სახელობის პირველ ცენტრალურ სასწავლებელში („ნიჭიერთა ათწლეულში"), სადაც 2007 წლიდან სწავლობდა ნინო მამრაძის კლასში. „ათწლეულში" სწავლისას ის აქტიურად მონაწილეობდა საჩვენებელსა და გალა კონცერტებში როგორც სოლისტი, კამერული ანსამბლის წევრი და კომპოზიტორი.

2009 წელს ლიზი კონკურსში „musica.sepahsvili" სპეციალური დიპლომით დაჯილდოვდა, 2010 წელს კი ის გახდა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის „მუსიკა საზღვრების გარეშე" ლაურეატი (ლიტვა). ამავე წელს საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ლიზი დააჯილდოვა დიპლომით საზღვარგარეთ საქართველოს ღირსეული წარდგენისათვის. ამავე წლიდან ლიზი მამრაძე რეგულარულად მონაწილეობს საერთაშორისო ფესტივალებსა და კონცერტებში როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ: დანიაში, ბელგიაში (Primavera Pianistica), ავსტრიაში (The Sound of Music 2012), საბერძნეთში (Poros Piano Academy) და იტალიაში.

2012 წელს ლიზიმ გაიმარჯვა საბერძენთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე „პოროსის საფორტეპიანო აკადემია", რის შემდგომაც ის სოლო კონცერტით მიიწვიეს ამ ფესტივალის გახსნაზე. ამავე ფესტივალზე, როგორც ი.ს. ბახის საუკეთესო ინტერპრეტატორმა, შეასრულა ბახის სოლ-მინორული საფორტეპიანო კონცერტი ათენის „სიმფონიეტასთან" ერთად, დირიჟორი გიორგიოს არავიდის.

ლიზის მიღებული აქვს მასტერ-კლასები ისეთი პროფესორებისგან, როგორებიც არიან აქილეს დელა ვინი, ვლადიმერ ტროპი, დანიელე პეტრალია, ნინოსლავ ჟივკოვიჩი, იური ბოგდანოვი, იუვალ ადმონი, იგორ პეტრინი, იან ჯონსი, მარტინ იეფსენი და სხვა. 2011 წლიდან ის რეგულარულად მართავს სოლო კონცერტებს საქართველოს სხვადასხვა საკონცერტო დარბაზში და არის ინიციატორი და მონაწილე არაერთი საქველოქმედო აქცია-კონცერტის.

2012 წლიდან ლიზი მამრაძე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია, სადაც მისი ხელმღვანელია პროფესორი ნინო მამრაძე.

იაკოვ ზაკი

გამოჩენილი პიანისტი და პედაგოგი იაკოვ ზაკი (1913-1976) ოდესის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ჰენრიხ ნეიჰაუზის ასპირანტი გახდა მოსკოვის კონსერვატორიაში (1932-1935). ნეიჰაუზის ხანგრძლივი ავადმყოფობის დროს ზაკი სწავლობდა კონსტანტინე იგუმნოვთან. ამან განაპირობა იკოვ ზაკის პიანისტურ შემოქმედებაში ორი სრულიად განსხვავებული მხატვრული საწყისის უნიკალური შერწყმა.

1937 წელს ზაკმა გაიმარჯვა შოპენის საერთაშორისო კონკურსში ქალაქ ვარშავაში. ადამ ვენიავსკიმ მას ,,უდიდესი მუსიკალური მოვლენა'' უწოდა. 1938 წელს მუსიკისმცოდნე არნოლდ ალშვანგი წერდა, რომ ,,იაკოვ ზაკის შესრულების თავისებურება მდგომარეობს არა მარტო სიზუსტეში, სისადავეში, ესთეტიკურ სრულყოფაში, მაღალ ტექნიკურ ოსტატობაში, არამედ, რაც მთავარია, აზროვნების მშვიდ სულისკვეთებაში, სიფართოვეში, მაღალმხატვრულობაში... მას აქვს დიდი პლანების და უსაზღვრო ბგერითი სივრცეების აუჩქარებლად განვითარების უძვირფასესი უნარი...''

ჰენრიხ ნეიჰაუზი იაკოვ ზაკს ყველა დროის გამოჩენილ პიანისტებს (ეგონ პეტრის, იოსებ ჰოფმანს) ადარებდა და აღნიშნავდა რომ მათ მსგავსად ზაკსაც, ,,ახასიათებს უზენაესი ობიექტურობის სულისკვეთება, ხელოვნების ობიექტურად აღქმისა და მისი არსის გადმოცემის საოცარი უნარი, ზედმეტი პირადული და სუბიექტური ელემენტების შეტანის გარეშე... ნათელი და ძლიერი ინტელექტი, დიდი და მწყობრად ორგანიზებული ტემპერამენტი, კოლოსალური შინაგანი ენერგია, ყოვლისმომცველი მუსიკალური ალღოიანობა და გამაოგნებელი ვირტუოზობა - აი ის მიზეზები, რომელთა გამო იაკოვ ზაკი უდიდეს თანამედროვე პიანისტთა პლეადაში შედის''.

გამოჩენილი ხელოვანები ხშირად აღნიშნავდნენ პიანისტის გასაოცარ ერუდიციას, მისი ინტერესების ფართო დიაპაზონს - მხატვრობის, ლიტერატურის, ფილოსოფიის ღრმა ცოდნას. ის დიდი დიაპაზონის პიანისტი იყო, რომელიც აღიარებულია შოპენის და ბეთჰოვენის გამოჩენილ შემსრულებლად; ასევე დიდი წარმატებით ასრულებდა ის ბრამსის, რახმანინოვის,

შუბერტის ნაწარმოებებს და თანამედროვე კომპოზიტორებს. მისი სიტყვებით, თანამედროვე საკომპოზიტორო აზროვნების წვდომა, ახალი მუსიკის აღმოჩენა და მსმენელისათვის მისი მიწოდება მისთვის დიდი ბედნირება იყო. იაკოვ ზაკი ახლოს იცნობდა სერგეი პროკოფიევს, განსაკუთრებული მოწიწებით ეპყრობოდა მის შემოქმედებას და უაღრესად საინტერესო ინტერპრეტაციით ასრულებდა მის სონატებს, მეორე და მესამე კონცერტს, ,,სარკაზმებს'', ,,წამიერებებს''.

იაკოვ ზაკმა სრულიად ახალგაზრდამ, ჯერ კიდევ 1935 წელს, დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა და მაშინათვე გამოავლინა ქეშმარიტი პედაგოგის უნარი - ის უზიარებდა თავის დიდ ვნებას მოწაფეებს და აღზარდა გამოჩენილ შემსრულებელთა ბრწყინვალე პლეადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი განყოფილება

პროკოფიევი. საფორტეპიანო ციკლი „წამიერებანი", op. 22

პროკოფიევი. საფორტეპიანო სონატა №4, დო მინორი, op.29
Allegro molto sostenuto
Andante assai
Allegro con brio ma non leggiere

მეორე განყოფილება

პროკოფიევი. საფორტეპიანო სონატა №5, დო მაჟორი, op.135
Allegro tranquilo
Andantino
Un poco allegretto

პროკოფიევი. 10 პიესა „რომეო და ჯულიეტადან", op. 75

1. ეროვნული ცეკვა
2. სცენა
3. მენუეტი
4. ჯულიეტა - გოგონა
5. ნიღბები
6. მონტეგი და კაპულეტი
7. პადრე ლორენცო
8. მერკუციო
9. ქალიშვილების ცეკვა ლილიებით
10. რომეოს და ჯულიეტას განშორების სცენა